

აზიის განვითარების ბანკის ანგარიშვალდებულების მექანიზმის
შესაბამისობის ანალიზის პანელი

ანგარიში დასაშვებობის შესახებ

დირექტორთა საბჭოს
საქართველოში მდგრადი ურბანული განვითარების პროგრამის მესამე ტრანშის პროგრამის
შესახებ (აზიის განვითარების ბანკის სესხი 3063) შესაბამისობის ანალიზის პანელის # 2018/2
მოთხოვნასთან დაკავშირებით

13 დეკემბერი 2018

წინამდებარე დოკუმენტის გასაჯაროება ხდება აზიის განვითარების ბანკის საჯარო
კომუნიკაციების 2011 წლის პოლიტიკის შესაბამისად

აბრევიატურები

ADB	– აზიის განვითარების ბანკი
AMP	– 2012 წლის ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკა
CRO	– საჩივრის მიმღები ოფიცერი
CRP	– შესაბამისობის ანალიზის პანელი
CWRD	– ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი, ADB
GRM	– ADB-ის მუდმივი წარმომადგენლობა საქართველოში
LARP	– მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა
MDF	– საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი
MFF	– მრავალტრანშული დაფინანსების ინსტრუმენტი

შენიშვნა

წინამდებარე ანგარიშში, “\$” გულისხმობს აშშ დოლარს

ქვეყნისათვის განკუთვნილი ნებისმიერი პროგრამის ან სტრატეგიის მომზადებისას, ნებისმიერი პროექტის დაფინანსებისას, ან წინამდებარე დოკუმენტში რაიმე კონკრეტული ტერიტორიის ან გეოგრაფიული არეალის აღნიშვნის ან მითითებისას აზიის განვითარების ბანკს არ გააჩნია განზრახვა, მიიღოს რაიმე სახის გადაწყვეტილება რომელიმე ტერიტორიის ან არეალის სამართლებრივი ან სხვა სტატუსის შესახებ.

სარჩევი

Contents

I.	შესავალი ინფორმაცია.....	1
II.	პროექტი	1
III.	საჩივარი.....	2
IV.	ADB მენეჯმენტის პასუხი.....	3
V.	დასაშვებობა	4
VI.	დასკვნა.....	6
დანართები		
1.	შესაბამისობის ანალიზის მოთხოვნა	8
2.	ADB-ის მენეჯმენტის პასუხი	11

I. შესავალი ინფორმაცია

1. 2018 წლის 11 ოქტომბერს, აზიის განვითარების ბანკის (ADB) ანგარიშვალდებულების მექანიზმის საჩივრის მიმღები ოფიცრის (CRO) მიერ, ADB-ის სესხი # 3063: საქართველოში მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის შესამე ტრანშთან (პროექტი)¹ დაკავშირებით შესაბამისობის ანალიზის მოთხოვნა გადაგზავნილ იქნა შესაბამისობის ანალიზის პანელისათვის (CRP).

2. წინამდებარე შესაბამისობის ანალიზის მოთხოვნა რიგით მეოთხეა პროექტის აღნიშნულ მონაკვეთთან დაკავშირებით, თუმცა აღნიშნულ მოთხოვნაში იკვეთება განსხვავებული პრობლემები. 2012 წლის ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის (AMPT) 178-ე მუხლისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმის³ შესაბამისი საოპერაციო პროცედურების თანახმად, CRP-მა განახორციელა პირველადი შეფასება და დაადგინა, რომ საჩივარი შეესაბამება შესაბამისობის ანალიზის ფუნქციის მანდატს.⁴

3. დასკვნა იმის შესახებ, რომ საჩივარი შეესაბამება შესაბამისობის ანალიზის ფუნქციის მანდატს არ წარმოადგენს დასკვნას შესაბამისობის ანალიზზე მისი დასაშვებობის შესახებ. პირველადი შეფასების დასრულების შემდეგ, CRP-მა განაგრძო საჩივრის დასაშვებობის შეფასება. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიში წარმოადგენს CRP-ის ანალიზისა და დასკვნების შეჯამებას საჩივრის შესაბამისობის ანალიზზე დასაშვებობასთან დაკავშირებით, AMP-ის შესაბამისად.

4. როგორც წინამდებარე ანგარიშშია ასახული, აღნიშნული საჩივარი არ დაიშვება შესაბამისობის ანალიზზე. დასაშვებობის განსაზღვრის პერიოდში, მომჩივნების მხრიდან აღილი ჰქონდა ADB-ის ოპერაციების დეპარტამენტთან (ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი CWRD) საკითხის გადაჭრის მცდელობას, თუმცა არ დასრულებულა და შესაბამისად CRP-ს არ აქვს საშუალება გააკეთოს დასკვნა, რომ „*მომჩივანმა პირებმა მოახდინეს საკითხის გადაჭრა შესაბამის ოპერაციების დეპარტამენტთან*“ AMP-ის 180-ე პარაგრაფის შესაბამისად.

II. პროექტი

პროექტი წარმოადგენს 2010-2020 წლებში განსახორციელებელი 1.1 მილიარდი აშშ დოლარის ღირებულების საინვესტიციო პროგრამის ნაწილის, რომლის მიზანიცაა საქართველოში ურბანული ტრანსპორტის ხელმისაწვდომობის, ხარისხისა და მდგრადობის გაუმჯობესება. აღნიშნული პროგრამის ნაწილობრივ დაფინანსების მიზნით, ADB-ის მიერ, 2010 წლის ივლისში გამოყოფილ და დამტკიცებულ იქნა მრავალ ტრანშული დაფინანსების ინსტრუმენტი (MFF), მაქსიმუმ 300 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით. იგი მიმართულია: (i) ანაკლია, ბათუმი, ქუთაისი, ფოთი, რუსთავი და თბილისის ურბანული ტრანსპორტის ინფრასტრუქტურის გაფართოება, რეაბილიტაცია და გაუმჯობესებაზე; (ii) ინსტიტუციური ეფექტურობის გაზრდაზე, მათ შორის თბილისის და სხვა მუნიციპალიტეტების და ურბანული

¹ პროექტის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია <https://www.adb.org/projects/42414-043/main>.

³ აზიის განვითარების ბანკი (ADB). 2012. ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკა. მანილა და ADB. 2012. საოპერაციო სახელმძღვანელოს ანგარიშვალდებულების მექანიზმის ნაწილი (OM ნაწილი L1: საბანკო პოლიტიკა და საოპერაციო პროცედურები), 2012 წლის 24 მაისი, მანილა.

⁴ დასაშვებობის განსაზღვრას ხელმძღვანელობდა CRP-ის წევრი ჰალინა ვარდი, CRP-ის თავმჯდომარის, დინგდინგ ტანგისა და ასევე CRP-ის წევრის აჟაი დემპანდეს მხარდაჭერით.

სერვისების მიმწოდებლების რეორგანიზაცია და რეფორმები; და (iii) პროგრამის მართვის გუნდის შექმნაზე, რომელსაც გააჩნია შესაძლებლობა და ფინანსური რესურსები რათა შეიმუშაოს პროექტი, მისი ტექნიკური დიზაინი, მოამზადოს და განახორციელოს ტენდერები, შეაფასოს და გამოავლინოს მისი გამარჯვებულები, განახორციელოს კონტრაქტის განხორციელების ზედამხედველობა, მონიტორინგი და ანგარიშგება⁵ MFF-ის ფარგლებში დაფინანსებული პროექტები უზრუნველყოფს სატრანსპორტო სისტემისა და ურბანული სივრცეების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას.

5. პროექტი, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე საჩივრის საგანს ფინანსდება MFF-ის მესამე ტრანშით, რომელიც დამტკიცებულ იქნა 2013 წლის 25 ნოემბერს. მესამე ტრანშის ფარგლებში განსახორციელებელი პროექტების საერთო ღირებულებაა 118.2 მილიონი აშშ დოლარი, აქედან 74 მილიონი აშშ დოლარი ADB-ის დაფინანსებით. მსესხებელი მხარე არის საქართველოს მთავრობა და საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი, როგორც პროექტის აღმასრულებელი და განმხორციელებელი სააგენტო. მესამე ტრანშში შედგება ორი ქვე-პროექტისგან. პირველი ქვე-პროექტი წარმოადგენს წინამდებარე საჩივრის საგანს. აღნიშნული ქვე-პროექტი გულისხმობს თბილისი-რუსთავის ურბანული დამაკავშირებელი არსებული გზის გაფართოებას და ახლის მშენებლობას ფონიჭალიდან რუსთავამდე მონაკვეთზე (თბილისი-რუსთავის ურბანული დამაკავშირებელი გზის მეორე მონაკვეთი). პროექტის დასრულების შემდეგ, აღნიშნულ მონაკვეთზე გზის საერთო სიგრძე იქნება 6.8 კმ. A მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმა (LARP) მომზადდა MDF-ის მიერ გზის ფონიჭალის მონაკვეთისათვის და მისი გასაჯაროება მოხდა 2015 წლის სექტემბერში.⁶ აღნიშნული LARP-ის მიხედვით, მეორე მონაკვეთის მეორე ნაწილის მშენებლობა გულისხმობს 84 მიწის ნაკვეთის, ჯამში 3.5 ჰექტარი მიწის შესყიდვას, რაც გამოიწვევს 133 ოჯახისა და 14 სამართლებრივი პირი მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების გადმოცემას ან საცხოვრებელ და კომერციულ ფართებზე წვდომას და 12 ბიზნესის დახურვას. ქვე-პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეულ პირთა რაოდენობაა 549 კაცი, მათ შორის ისინი, რომელთაც მოუწევთ სამუშაო ადგილების დაკარგვა (ანუ რომელთა ეკონომიკური გასახლება მოხდება ქვე-პროექტის მიერ). ADB-ის მენეჯმენტი CRP-სადმი წინამდებარე საჩივართან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ სოციალურ-ეკონომიკური კვლევისას LARP-თან მიმართებაში გამოვლენილ იქნა ორი მოწყვლადი ოჯახი.

6. ახალი გზა იქნება საერთაშორისო სტანდარტის, პირველი კატეგორიის გზატკეცილი, ოთხი, ექვს ზოლიანი გზით, რომელიც გათვლილი იქნება 80 კმ/სთ-დან 120 კმ/სთ-მდე მოძრავ ავტომობილებზე. გზის მშენებლობა ფინანსდება პირველი ქვე-პროექტის მესამე ტრანშით და ამჟამად იგი არ ხორციელდება მხოლოდ გზის ფონიჭალის მონაკვეთზე. სწორედ ამ მონაკვეთიდან იქნა CRP-ის მიერ მიღებული ოთხი საჩივარი.

III. საჩივარი

7. მეოთხე საჩივარი განსხვავდება დანარჩენი სამისგან, რადგან მასში აქცენტი კეთდება განსახლებისათვის გასაცემ კომპენსაციაზე, მაშინ როცა დანარჩენი სამის შემთხვევაში ძირითადად ყურადღება გამახვილებულია ისეთ პრობლემებზე როგორცაა ხმაური,

⁵ პროექტის მრავალტრანშული დაფინანსების ინსტრუმენტთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ინფორმაცია ხელმისაწვდომია <http://www.adb.org/projects/42414-013/main#project-pds>.

⁶ განსახლების გეგმა: GEO: ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - მესამე ტრანშში (თბილისი-რუსთავის ურბანული დამაკავშირებელი გზა - მეორე მონაკვეთის მეორე ნაწილი). ხელმისაწვდომია <https://www.adb.org/sites/default/files/project-document/175052/42414-043-rp-03.pdf>.

ვიზრაცია, ჰაერის დაბინძურება, მდინარეზე ეკოლოგიური ზემოქმედების კვლევის არარსებობა და პროექტის გარემოსდაცვითი კატეგორიზაცია. მომჩივანი პირები არიან 18 პირი, რომლებიც ოთხ საცხოვრებელ სახლში შემდეგ მისამართზე: მარნეულის ქუჩა, რუსთავის გზატკეცილი, თბილისი საქართველო (იხ. დანართი 1). მარნეულის ქუჩაზე მდებარე ოთხ კორპუსში, მომჩივან პირებთან ერთად ასევე ცხოვრობენ რამდენიმე ოჯახი მათ შორის ბავშვები და მოხუცები. CRP-თან პირველი ტელე-კონფერენციას, ესწრებოდნენ ხუთი მომჩივანი პირი, თითოეული კორპუსიდან სულ მცირე ერთი წარმომადგენელი, ერთ-ერთი მომჩივანი პირი დასახელებულ იქნა როგორც CRP-თან მთავარი საკონტაქტო პირი. CRP-ს არ მოუპოვებია სპეციალური წერილობითი თანხმობა თვრამეტივე მომჩივანი პირისგან, მათი დეტალების გასაჯაროებასთან დაკავშირებით და შესაბამისად შეცვლილ იქნა საჩივრის გასაჯაროებული ვერსია.

8. ADB-ის მიერ დაფინანსებული გზის მშენებლობა გულისხმობს ფონიჭალაში მომჩივანთა სახლებისა და მიწის შესყიდვას. მომჩივანი პირები აღნიშნავენ, რომ მათთვის შეთავაზებული კომპენსაციის ოდენობა არ შეესაბამება ამჟამად ბაზარზე არსებულ ფასებს მოცემულ უბანში და მათთვის აღნიშნული თანხა არ იქნება საკმარისი შესაბამისი საცხოვრებლის შესაძენად. საჩივარში მოთხოვნილია დანიშნული კომიტეტის მიერ „სიტუციის დეტალურად შესწავლა და ორივე მხარისათვის მისაღები გადაწყვეტილების მიღება“, ბაზარზე არსებული უძრავი ქონების ღირებულების შესაბამისი კომპენსაციის გაცემის ან ალტერნატიული საცხოვრებელი ფართების უზრუნველყოფის გზით. მომჩივანები შიშობენ, რომ არასაკმარისი კომპენსაციის შემთხვევაში, ისინი უსახლკაროდ დარჩებიან. მომჩივანმა პირებმა CRP-ს წარმოუდგინეს 2016 წელს მათი დაკვეთით განხორციელებული ქონების შეფასების ანგარიშები, თუმცა აღნიშნული ანგარიშის მომზადებისას, მათ დოკუმენტი არ გაუზიარეს ADB-ის ოპერაციების დეპარტამენტს.

9. CRO-ის მიერ საჩივრის პირველადი დამუშავებისას, მომჩივანმა მხარემ მოითხოვა შესაბამისობის ანალიზი. შესაბამისად, CRO-მ მოახდინა აღნიშნული საჩივრის CRP-თვის გადაგზავნა 2018 წლის 11 ოქტომბერს.

IV. ADB მენეჯმენტის პასუხი

10. CRP-მა აცნობა ADB-ის მენეჯმენტს, მთავრობასა და მომჩივან პირებს, CRP-ის მიერ საჩივრის მიღების შესახებ 2018 წლის 18 ოქტომბერს და მოითხოვა ADB-ის მენეჯმენტის პასუხი. CRP-მა მოთხოვნილ ვადაში მიიღო პასუხი, 2018 წლის 19 ნოემბერს. (იხ. დანართი 2).

11. პასუხში აღნიშნულია, რომ ADB-ის მენეჯმენტისთვის ცნობილია საჩივრის გამომწვევი გარემოებები. MDF-ის მიერ დაქირავებული ლიცენზირებული აუდიტის კომპანიის მიერ მარნეულის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების შეფასების შემდეგ, 2014 წელს დაიწყო სიტყვიერი მოლაპარაკებები მფლობელებთან, მათი უძრავი ქონების შესყიდვასთან დაკავშირებით. 2015 წლის მარტიდან 2016 წლის ივნისამდე პერიოდში, სხვადასხვა თარიღებში, მარნეულის ქუჩაზე მდებარე უძრავი ქონების მფლობელებს MDF-ის მიერ ასევე დაეგზავნათ ოფიციალური შეთავაზებები მათი ქონების შესყიდვასთან დაკავშირებით და ასევე შეფასებებიც. 2015 წლის ოქტომბერში, რამდენიმე მომჩივანი პირისგან მიღებულ საჩივარში მოთხოვნილი კომპენსაციის გაზრდის საკითხი იქნა განხილული, თუმცა არ იქნა დაკმაყოფილებული MDF-ის საჩივრების კომიტეტის მიერ, 2016 წლის იანვარში. 2015 წლის დეკემბერში, MDF-მა, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექსპროპრიაციის კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, მიიღო ექსპროპრიაციის უფლება. 2016 წლის მაისისა და 2017 წლის თებერვლის სხვადასხვა გადაწყვეტილებებით, თბილისის მერიამ MDF-ს მიანიჭა ექსპროპრიაციის გამოყენების უფლება და შესაბამისად, საჯარო

რეესტრში აღნიშნული უძრავი ქონების მფლობელებად დაფიქსირებულ იქნა სახელმწიფო. ADB-ის მენეჯმენტის პასუხში აღნიშნულია რომ კომპენსაციის თანხები გადარიცხულ იქნა სადეპოზიტო ანგარიშზე და ამის შესახებ ეცნობათ მომჩივან პირებს, თუმცა თანხის გატანა არ მომხდარა. 2018 წლის შუაში, MDF-მა სასამართლოს ოთხი განჩინების თანახმად მოიპოვა მომჩივანი პირების გამოსახლების უფლება. წინამდებარე ანგარიშის მომზადების პერიოდისათვის, MDF-მა უკვე აღასრულა აღნიშნული უფლება..

12. რამდენიმე მომჩივანი პირის 2018 წლის 31 ივლისით დათარიღებული საჩივრის წერილი ADB-ის სათაო ოფისში მიღებულ იქნა 2018 წლის 27 აგვისტოს, ADB-ის საქართველოს მუდმივი წარმომადგენლობისგან (GRM). ADB-ის მენეჯმენტის პასუხში აღწერილია CWRD-ის მიერ დღემდე განხორციელებული ქმედებები, რაც გულისხმობს საქართველოში დამოუკიდებელი შემფასებლის დაქირავებას მომჩივანთა უძრავი ქონების შეფასების განხორციელების მიზნით. ADB-ის მენეჯმენტის პასუხში ასევე აღნიშნულია, რომ MDF-მა ADB-ის აღუთქვა, რომ არ მოხდებოდა მომჩივანთა ძალისმიერი გამოსახლება და რომ ამის შესახებ ინფორმირებულ იქნა მომჩივანთა წარმომადგენელი, 2018 წლის 9 ნოემბერს GRM-ში ერთ-ერთი მომჩივანი პირის ვიზიტის შემდეგ.

13. AMP-ის 178-ე პარაგრაფის შესაბამისად, ADB-ის მენეჯმენტის პასუხში ასევე აღნიშნულია, რომ ADB-ის მენეჯმენტის აზრით პროექტი შესაბამისობაშია 2009 წლის უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადებით განსაზღვრულ ADB-ის საოპერაციო პოლიტიკასა და პროცედურებთან.

V. დასაშვებობა

14. CRP-მა დასაშვებობა განსაზღვრა AMP-ის 179-ე და 180 პარაგრაფის შესაბამისად, რომელშიც ნათქვამია:

„179. ხელმძღვანელობის პასუხის მიღებიდან 21 დღის განმავლობაში CRP განსაზღვრავს საჩივრის დასაშვებობას. CRP განიხილავს საჩივარს, ხელმძღვანელობის პასუხს და სხვა შესაბამის დოკუმენტებს. საჩივრის დასაშვებად ცნობისათვის CRP უნდა დარწმუნდეს, რომ საჩივარი აკმაყოფილებს დასაშვებობის ყველა კრიტერიუმს, არ სცდება დადგენილ ფარგლებს და მასზე არ ვრცელდება საჩივრის რეაგირების გარეშე დატოვების პირობები (პარ. 142 და 145-149). CRP უნდა დარწმუნდეს, რომ (i) არსებობს შეუსაბამობის მტკიცებულება; (ii) არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ შეუსაბამობამ გამოიწვია ან სავარაუდოდ გამოიწვევს პირდაპირ და მატერიალურ ზიანს პროექტის შედეგად დაზარალებული ადამიანებისათვის; და (iii) შეუსაბამობა საკმარისად სერიოზულია იმისათვის, რომ განაპირობოს შესაბამისობის შეფასების ჩატარება.“

180. დასაშვებობის განსაზღვრისას, CRP განიხილავს და გადაწყვეტს გატარებულ იქნა თუ არა ზომები მომჩივანი მხარის მიერ შესაბამის ოპერაციის დეპარტამენტთან საკითხის მეგობრულად გადაწყვეტისათვის.“

15. ADB-ის მენეჯმენტის პასუხთან ერთად, CRP ასევე მხედველობაში მიიღო AMP-ის 151-ე პარაგრაფი, რაც გულისხმობს:

“151. საჩივარი კონკრეტულად უნდა განმარტავდეს შემდეგს:...

(vii) განმარტებული უნდა იყოს ის ძალისხმევა, რაც საწყის ეტაპზე გამოიჩინეს მომჩივნებმა, პრობლემების შესაბამისი ოპერაციების დეპარტამენტთან გადაჭრისათვის, და თუ როგორია აღნიშნული ძალისხმევის შედეგები,...”

16. CRP-ის მიერ დასაშვებობის განსაზღვრის პროცესი გულისხმობს შემდეგ ეტაპებს:

- i) საჩივრის და CRP-თვის მომჩივანთა მხრიდან მიწოდებული სხვა დამატებითი დოკუმენტების განხილვა;
- ii) review of the ADB-ის მენეჯმენტის პასუხის, მათ შორის CRP-ის მიერ მოთხოვნილი პროექტის შესაბამისი დოკუმენტების განხილვა;
- iii) ტელე კონფერენცია CRP-სა და ხუთ მომჩივანს შორის, CRP-ის მიერ შერჩეული თარჯიმნის თანდასწრებით; და
- iv) ADB-ის პროექტის გუნდთან განხილვები ADB-ის სათაო ოფისში.

17. ზემოხსენებული ეტაპების გავლის და ასევე დასაშვებობის კონკრეტული საკითხის მხედველობაში მიღების შემდეგ, რაც გულისხმობს მომჩივანთა მხრიდან წინასწარ გამოჩენილ ძალისხმევას, CRP-მა გადაწყვიტა, რომ არ არსებობდა ადგილზე ვიზიტის განხორციელების აუცილებლობა, საჩივრის დასაშვებობის განსაზღვრის მიზნით. ქვედა პარაგრაფებში ვრცლად არის საუბარი CRP-ის მიერ დასაშვებობის განსაზღვრაზე.

18. AMP-ის 179-ე პარაგრაფის შესაბამისად, CRP უნდა დარწმუნდეს, რომ საჩივარი აკმაყოფილებს AMP-ით განსაზღვრულ დასაშვებობის კრიტერიუმებს, მასშტაბს და არ განეკუთვნება AMP-ის 142-ე და 145-149-ე პარაგრაფებში განმარტებულ გამონაკლისებს. 179-ე პარაგრაფი დამატებით განმარტავს, რომ CRP უნდა დარწმუნდეს, რომ (i) არსებობს შეუსაბამობის მტკიცებულება; (ii) არსებობს მტკიცებულება იმისა, რომ შეუსაბამობამ გამოიწვია ან სავარაუდოდ გამოიწვევს პირდაპირ და მატერიალურ ზიანს პროექტის შედეგად დაზარალებული ადამიანებისათვის; და (iii) შეუსაბამობა საკმარისად სერიოზულია იმისათვის, რომ განაპირობოს შესაბამისობის შეფასების ჩატარება.

19. AMP-ის 180-ე პარაგრაფი განსაზღვრავს დამატებით საკითხებს, რომელიც უნდა იქნას გათვალისწინებული CRP-ის მიერ, დასაშვებობის განსაზღვრისას; კერძოდ, გამოიჩინა თუ არა მომჩივანმა მხარემ ძალისხმევა პირველ ეტაპზე პრობლემების შესაბამისი ოპერაციების დეპარტამენტთან გადაჭრისათვის დაკავშირებით. ასეთი ძალისხმევის არ არსებობის შემთხვევაში, CRP მოახდენს საჩივრის შესაბამისი ოპერაციების დეპარტამენტში გადაგზავნას.

20. AMP-ის 180-ე პარაგრაფი არ წარმოადგენს ზუსტად დასაშვებობის მოთხოვნას. თუმცა AMP-ის 196-ე პარაგრაფი შეეხება „არა დასაშვებ საჩივრებს“ რომელიც გადაგზავნილ იქნა ოპერაციების დეპარტამენტში, რადგან წინასწარ არ იქნა არანაირი ღონისძიება გატარებული შესაბამისი ოპერაციების დეპარტამენტთან საკითხის მოგვარების მიზნით. აღნიშნული მკაფიოდ განმარტავს, რომ 180-ე პარაგრაფი, უნდა იქნას გაგებული როგორც დასაშვებობის დამატებითი მოთხოვნა და იმ შემთხვევაში თუ საჩივრის განხილვისას CRP განსაზღვრავს, რომ 180-ე პარაგრაფის პირველი წინადადებით გათვალისწინებული ფაქტორები არ არის შესრულებული, CRP მოახდენს არა დასაშვებობის საჩივრის შესაბამისი ოპერაციების დეპარტამენტისთვის გადაგზავნას.

21. CRP აღნიშნავს, რომ მომჩივნებმა გამოიჩინეს ძალისხმევა საკუთარი პრობლემები დაეფიქსირებინათ CWRD-დმი გაგზავნილ საჩივარში. ისინი დამატებითი ინფორმაციის მისაღებად ელ. ფოსტით მიმართავდნენ ან GRM-ში ეწვეოდნენ საკუთარ საკონტაქტო პირებს. CWRD წერილების და საქართველოში ADB-ის კონსულტანტთან პირისპირ შეხვედრებით ინარჩუნებდნენ კონტაქტს მომჩივან პირებთან, მათ ვისაც თარჯიმნის გარეშე შეეძლოთ კომუნიკაციის დამყარება. ADB-მ ასევე მოიპოვა და თარგმნა საჩივართან დაკავშირებული ძირითადი დოკუმენტები და მომჩივანთა ქონების შეფასებისათვის დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებელი და დაიწყო შესყიდვის პროცესი. გამოვლენილ იქნა შემფასებელი და CRP ინფორმირებულ იქნა შესყიდვის პროცესის დაწყებასთან დაკავშირებით, თუმცა თავად შეფასება ჯერ მომზადებული არ არის. შესაბამისად, საწყისი გაცვლებისა და ოპერაციების გუნდის შემდგომმა ქმედებებმა ჯერ არ მიაღწია იმ ეტაპს, როდესაც ADB-სა და მომჩივან პირებს შეუძლიათ განიხილონ კომპენსაციასთან დაკავშირებული პრობლემების არსებითად გადაწყვეტის საკითხები.

22. 2018 წლის აგვისტოდან მოყოლებული მომჩივანთა მხრიდან CWRD-თან კონტაქტის მიუხედავად, CRP მიიჩნევს რომ ამ ეტაპზე ნაადრევია მის მიერ იმის დასკვნა, რომ მომჩივანმა პირებმა გამოიჩინეს პატიოსანი ზრახვები საკითხის შესაბამის ოპერაციების დეპარტამენტთან გადასაჭრელად. თუმცა CRP ხაზს უსვამს, რომ ამ კუთხით უპირველესი ნაბიჯი დამოკიდებულია ADB-ის მენეჯმენტის მხრიდან ინიცირებული დამოუკიდებელი შეფასების პროცესის დაჩქარებაზე.

23. CRP აღნიშნავს, რომ ADB-ის მენეჯმენტის პასუხში ციტირებულია AMP-ის 151-ე პარაგრაფი, „*საჩივარი კონკრეტულად უნდა განმარტავდეს შემდეგს:... და მითითებულია შემდეგი ქვე-პუნქტი (vii) განმარტებული უნდა იყოს ის ძალისხმევა, რაც საწყის ეტაპზე გამოიჩინეს მომჩივნებმა, პრობლემების შესაბამის ოპერაციების დეპარტამენტთან გადაჭრისათვის, და თუ როგორია აღნიშნული ძალისხმევის შედეგები.*” CRP აღნიშნავს, რომ მომჩივანმა პირებმა აღნიშნული არ მიუთითეს საკუთარ საჩივარში და ანგარიშვალდებულების მექანიზმის E ნაწილში უბრალოდ აღნიშნეს, რომ „უკვე სცადეს, მაგრამ უშედეგოდ“. მიმდინარე ანალიზისა და AMP-ის 180-ე პარაგრაფის შესაბამისად CRP-ის დასკვნის თანახმად, CRP-მა აუცილებლად არ მიიჩნია იმის გადაწყვეტა საჩივრიდან გამოტოვებული იქნა თუ არა მოთხოვნილი ნაწილი ან თუ აღნიშნული წარმოადგენს ს CRP-თვის საფუძველს 179-ე პარაგრაფის შესაბამისად გადაწყვეტოს საჩივრის შესაბამისობის ანალიზზე დასაშვებობა. ამასთანავე, AMP-ის 180-ე პარაგრაფის შესაბამისად, CRP-ის დასკვნის თანახმად, CRP-თვის არ არსებობს აუცილებლობა მხედველობაში მიიღოს დასაშვებობის დანარჩენი კრიტერიუმები და 170-ე პარაგრაფში გაწერილი გამონაკლისები.

VI. დასკვნა

24. AMP-ის 180 პარაგრაფის შესაბამისად, CRP განსაზღვრავს, რომ წინამდებარე საჩივარი არ დაიშვება შესაბამისობის ანალიზზე. CRP განმარტავს, რომ მარნეულის ქუჩის ოთხივე შენობაში მცხოვრებმა მომჩივანმა პირებმა, რომლებიც დაფიქსირებული არიან როგორც საჩივარში, ისე ADB-ის მენეჯმენტის პასუხში, გამოთქვეს მზაობა განაგრძონ ძალისხმევა საჩივარში დასმული პრობლემების მოსაგვარებლად. წინამდებარე ანგარიშის მომზადებისას, აღნიშნული ძალისხმევა კვლავ გრძელდება. CRP-ის დასაშვებობის განსაზღვრა არამც და არამც არ უნდა იქნეს ნეგატიურად ასახული მომჩივან პირებზე ან მათ მიერ საჩივარში დასმული საკითხების გადასაჭრელად გადადგმულ ნაბიჯებზე.

25. CRP მოუწოდებს CWRD-ს განაგრძოს კონსტრუქციული და საკონსულტაციო ჩართულობა მომჩივან პირებთან. CRP ასევე ამახვილებინებს ყურადღებას ADB-ის მენეჯმენტს AMP-ის 195-ე და 196-ე პარაგრაფებზე, რომელიც განმარტავს ოპერაციების დეპარტამენტის ვალდებულებებზე, მაშინ როდესაც ხდება საჩივრების მათთვის გადაგზავნა, რადგან მომჩივან პირებს არ გამოუჩენიათ რაიმე ძალისხმევა პრობლემების ან სადაო საკითხების აღნიშნულ დეპარტამენტებთან გადაჭრის კუთხით. აღნიშნული ვალდებულებები სხვა საკითხებთან ერთად გულისხმობს საჩივარში დასმული საკითხების გადაჭრის პროცესის და შედეგების მონიტორინგის.

26. CRP, ADB-ის მენეჯმენტს სთავაზობს მოხდეს CRP-ის კვარტალში ერთხელ ან შემდგომისდაგვარად ხშირად ინფორმირება, მანამ სანამ არ მოხდება მომჩივანთა მიერ დასმული საკითხების მოგვარება. CRP-ის თხოვნა ასევე, რომ პროცესის დასრულების შემდეგ, CWRD-მა CRP-ს მიაწოდოს ანგარიშის ასლი, რომლის მომზადებაც მოთხოვნილია AMP-ის 196-ე პარაგრაფით.

/ს/დინგდინგ ტანგი

თავმჯდომარე, შესაბამისობის ანალიზის პანელი

/ს/აუაი დემჰანდე

ნახევარ განაკვეთიანი წევრი, შესაბამისობის ანალიზის პანელი

/ს/ ჰანილა ვარდი

ნახევარ განაკვეთიანი წევრი, შესაბამისობის ანალიზის პანელი

შესაბამისობის ანალიზის მოთხოვნა

აზიის განვითარების ბანკი (ADB), ანგარიშვალდებულების მექანიზმი, საჩივრის ფორმა



ფუნქციის შერჩევა - პროექტების სპეციალური ფასილიტატორი ან შესაბამისობის ანალიზის პანელი (აირჩიეთ ერთერთი)

პროექტების სპეციალურ კურატორს (არაფორმალური, მოქნილი და კონსესუსზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენებითა და ყველა დაინტერესებული მხარის თანხმობისა და თანამონაწილეობის საფუძველზე ეხმარება პირებს, რომლებსაც უშუალო და მატერიალური ზარალი მიადგათ კონკრეტული პრობლემების გამო, რომლებიც გამოიწვია, ან, რომლებსაც სავარაუდოდ გამოიწვევს აზიის განვითარების ბანკის მიერ მხარდაჭერილი პროექტები)

შესაბამისობის ანალიზის პანელი (შეისწავლის და აწარმოებს მოკვლევას აზიის განვითარების ბანკის მხრიდან ამავე ორგანიზაციის სამოქმედო პოლიტიკასთან და პროცედურებთან შეუსაბამობების საქმეებთან დაკავშირებით, აზიის განვითარების ბანკის მიერ მხარდაჭერილი პროექტების შემუშავების, დამუშავებისა და გახორციელების პროცესში, რაც უშუალო მატერიალურ და უარყოფით გავლენას ახდენს, ან, სავარაუდოდ მოახდენს ადგილობრივ მოსახლეობაზე)

ბ. გსურთ თქვენი ვინაობა დარჩეს კონფიდენციალურ ინფორმაციად?

დიახ

არა

2. მომჩივანთა საკონტაქტო ინფორმაცია (ანონიმური საჩივარი არ მიიღება, უნდა იქნას დასახელებული პროექტით დაზარალებული სულ მცირე ორი პირი)						
სახელი და გვარი	ხელმოწერა	საფოსტო მისამართი			ტელეფონის ნომერი (ფიქსირებული / მობილური)	ელ-ფოსტის მისამართი
1.						
2.						
3.						
4.						
5.						
6.						
7.						
8.						
9.						
10.						
11.						
12.						
13.						
14.						
15.						
16.						
17.						
18.						

უფლებამოსილი წარმომადგენელი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). (უფლებამოსილი წარმომადგენლების ვინაობა, რომლებიც იმავედროულად არ წარმოადგენენ მომჩივნებს, გამჟღავნებული იქნება, გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად.)

მომჩივანის წარმომადგენელი	სახელი და გვარი	ხელმოწერა	პოზიცია, ორგანიზაციის დასახელება (ასეთის არსებობის შემთხვევაში)	საფოსტო მისამართი	ტელეფონის ნომერი (ფიქსირებული / მობილური)	ელ-ფოსტის მისამართი
---------------------------	-----------------	-----------	---	-------------------	---	---------------------

ბ. ინფორმაცია პროექტის შესახებ

პროექტის სახელწოდება	თბილისი-რუსთავის საავტომობილო გზის ფონიჭალის მონაკვეთის (მონაკვეთი 2-ის) პროექტი
პროექტის ადგილმდებარეობა	0114, მარნეულის ქუჩა, თბილისი
პროექტის მოკლე აღწერა	შეთავაზებული კომპენსაცია არ შეესაბამება უძრავი ქონების ღირებულებას. ფაქტიურად დავრჩებით სახლ-კარის გარეშე.

გ. საჩივარი

1. რა უშუალო და მატერიალური ზარალი მიადგა, ან, სავარაუდოდ მიადგება მომჩივნებს აზიის განვითარების ბანკის მიერ მხარდაჭერილი პროექტის გახორციელებით?

2. ჰქონდა თუ არა აქამდე ადგილი მომჩივნების მხრიდან კეთილსინდისიერ ძალისხმევას მოგვარებისათვის აღნიშნული პრობლემა (პრობლემები) და საკითხი (საკითხები) აზიის განვითარების ბანკის შესაბამის განყოფილებასთან?

დიახ დადებითი პასუხის შემთხვევაში, გთხოვთ მიუთითოთ როდის, როგორ, ვის მიერ და ვისთან იქნა აღნიშნული ძალისხმევა გახორციელებული. გთხოვთ დაასახელოთ ის ნებისმიერი პასუხი, რომელიც მიიღეს მომჩივნებმა აზიის განვითარების ბანკის მხრიდან, ან აღწეროთ რა ქმედება გაახორციელა აზიის განვითარების ბანკმა მომჩივანთა მიმართვის საპასუხოდ

შემოთავაზებული თანხით ჩვენ ვერ ვიყიდით სახლებს. ვიყიდით იაფიან უძრავ ქონებას, ჩვენ ვერ შევძლებთ ახალი სახლის შექმნას

არა

დ. დამატებითი ინფორმაცია

1. როგორია მომჩივანთა სასურველი შედეგი ან საჩივრის მიზანი? წყნარი, რეალური და ნორმალური კომპენსაცია იმავე უბანში ახალი ბინის ან სახლის შესაძენად.

2. გსურთ თუ არა რაიმეს დამატება? როგორც ADB, ისე ექსპროპრიაციის შესახებ საქართველოს კანონი ითვალისწინებს მომჩივანთა პირობების გაუმჯობესებას და არა პირიქით. გთხოვთ, ასევე მხედველობაში მიიღოთ ჩვენი თხოვნა.

წინამდებარე საჩივრის ფორმის შემვსები პირის სახელი:

ხელმოწერა: თარიღი: 14.09.2018

გთხოვთ საჩივარი მოგვაწოდოთ ფოსტის ან ელექტრონული ფოსტის საშუალებით ან გამოგვიგზავნოთ ADB-ის მუდმივი წარმომადგენლობის ოფისის მეშვეობით:

საჩივრის მიმღები ოფიცერი (CRO), ანგარიშგაღებულების მექანიზმი

ADB სათაო ოფისი, ADB-ის გამზირი 6, მანდალუონგი 1550, ფილიპინები

ტელეფონი: +63-2-6324444 შიდა 70309, ფაქსი: +63-2-6363086

ელ-ფოსტა: amcro@adb.org

აზიის განვითარების ბანკს

განცხადება

როგორც თქვენთვის ცნობილია, ამჟამად მიმდინარეობს თბილისი-რუსთავის გზის მშენებლობა, რომელსაც აზიის განვითარების ბანკის დაფინანსებით ახორციელებს საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი. მიმდინარე პროექტის თანახმად, მარნეულის ქუჩაზე მდებარე ჩვენი ქონება (სახლები) ექცევა გზის მშენებლობის ზემოქმედების ქვეშ და ჩვენს შემოგვთავაზებს კომპენსაცია ჩვენი ქონების დატოვების სანაცვლოდ. აღნიშნული საკომპენსაციო თანხა არის ამავე უბანში მოცემული მომენტისთვის არსებული უძრავი ქონების ფასებზე დაბალია. უფრო კონკრეტულად, ჩვენ შემოგვთავაზებს 40 ლარი ერთ კვადრატულ მეტრ მიწაზე, ხოლო 649 ლარი (რაც დღეისათვის არსებული გაცვლითი კურსით შეადგენს 264 აშშ დოლარს) ერთ კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართზე (სახლი).

უძრავი ქონების ბაზარზე არსებული სიტუაციით - 1 კვადრატული მეტრი მიწის ფასი ფონიჭალის რაიონში (მარნეულის ქუჩის სიახლოვეს) შეადგენს 40 აშშ დოლარს, 1 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართის ფასი შეადგენს 600 აშშ დოლარს.

ასევე გვსურს ხაზი გავუსვათ, რომ ზოგიერთ სახლში ცხოვრობს რამდენიმე ოჯახი, სადაც საცხოვრებელ ფართს იყოფენ ბავშვები და ხანში შესული პირები. ზემოხსენებულის გათვალისწინებით, ამ ეტაპზე შემოთავაზებული კომპენსაცია უბრალოდ იმისთვისაც კი არ იქნება საკმარისი რომ შესაბამისი საცხოვრებელი ფართი შევიძინოთ და უსახლკაროდ არ დავტოვოთ ჩვენი ოჯახები.

თხოვნით მივმართავთ თქვენს ორგანიზაციას ყურადღებით მოეკიდოს აღნიშნულ საკითხს, დანიშნოს შესაბამისი კომისია, რომელიც დეტალურად შეისწავლის ჩვენს სიტუაციას და ეცდება ორივე მხარისათვის მისაღები გამოსავლის მოძებნას, ან გამოგვიყოფს შესაბამის კომპენსაციას (საბაზრო ფასების შესაბამისად) რაც საშუალებას მოგვცემს ვიყიდოთ ახალი სახლები ან დაგვაკმაყოფილებს ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით, ჩვენს მიერ ამჟამად საკუთრებაში არსებული მიწის/საცხოვრებელი ფართის კვადრატულობის შესაბამისად.

გთხოვთ გამოიჩინოთ ყურადღება ზემოხსენებულ პრობლემასთან დაკავშირებით, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ მოგვიწევს უკიდურესი ზომების მიღება, პოლიტიკური პარტიების ჩართვა, ფართო მასშტაბიანი აქციების გამართვა და ჩვენს საკუთრებაში არსებული ქონების დატოვებაზე უარის თქმა, რათა თავიდან ავიცილოთ ჩვენი ოჯახების უსახლკაროდ დატოვება.

პატივისცემით,



აზიის განვითარების ბანკი

მემორანდუმი

ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი
გენერალური დირექტორის ოფისი

19 ნოემბერი, 2018

ვის: დინგდინგ ტანგს
შესაბამისობის ანალიზის პანელის თავმჯდომარეს

გავლით: ვენსაი ჟანგი
ვიცე პრეზიდენტი (ოპერაციები 1)

ვისგან: ვერნერ ე. ლიპახი
CWRD-ის გენერალური დირექტორი

საკითხი: L3063-GEO: მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა - მესამე ტრანში - მენეჯმენტის პასუხი

1. შესაბამისობის ანალიზის პანელმა (CRP) მოითხოვა ADB-ის მენეჯმენტის პასუხი შესაბამისობის ანალიზის მოთხოვნასთან დაკავშირებით, რომელიც CRP-თვის გადმოგზავნილ იქნა საჩივრების მიმღები ოფიცრის (CRO) მიერ 2018 წლის 11 ოქტომბერს, ზემოხსენებულ საკითხთან დაკავშირებით (დანართი 1).
2. წინამდებარე საჩივარი რიგით მეოთხეა CRP-თვის და დაკავშირებულია თბილისი-რუსთავის 6.8 კილომეტრიანი ურბანული გზის მეორე მონაკვეთის ქვე-პროექტთან, რომელიც ფინანსდება მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამის - მესამე ტრანშით (სესხი 3063), რომელიც დამტკიცებულ იქნა 2013 წლის 25 ნოემბერს. აღნიშნული ტრანშის კატეგორიზაცია არის შემდეგნაირი: A - განსახლებისთვის, B - გარემოს დაცვისთვის და C ადგილობრივი ხალხისთვის.
3. წინა სამი საჩივარი განიხილება ADB-ის დირექტორთა საბჭოს მიერ 2017 წლის 30 ივნისს დამტკიცებული მაკორექტირებელი სამოქმედო გეგმის (RAP) ფარგლებში, რომელიც ამჟამად იმპლემენტაციის ფაზაშია. მეოთხე საჩივარი სცდება RAP-ის ფარგლებს და გააჩნია სხვა შინაარსი.
4. აღნიშნული საჩივარი შეეხება თბილისში მარნეულის ქუჩაზე მცხოვრებ 4 ოჯახს, რომელთა მიმართ ექსპროპრიაციის უფლება მიენიჭა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს (MDF) თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2016 11 მაისს და 2017 წლის 24 თებერვალს, ქონების მფლობელთა მხრიდან მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის (LARP) შესაბამისად შეთავაზებულ კომპენსაციაზე უარის თქმის შემდეგ. სასამართლომ მხარი დაუჭირა MDF-ის მიერ LARP-ის მეთოდოლოგიის შესაბამისად დაანგარიშებულ კომპენსაციას. MDF-მა წერილობით აცნობა მომჩივან

პირებს სასამართლოს მიერ დამტკიცებული საკომპენსაციო თანხების ჩარიცხვასთან დაკავშირებით 2017 წლის ივნისში და სადაო ქონება ამჟამად ოფიციალურად სახელმწიფოს საკუთრებას წარმოადგენს. MDF-მა განაგრძო მომჩივნებთან მოლაპარაკება და არ განახორციელა ძალისმიერი გამოსახლება. საქმის დეტალები წარმოდგენილია **მეორე დანართში**.

5. ანგარიშვალდებულების მექანიზმის პოლიტიკის (2012) (**AM პოლიტიკა**) 151-ე პარაგრაფი განმარტავს, რომ საჩივარში უნდა იყოს მითითებულია „მომჩივანთა მიერ პირველ რიგში პრობლემების შესაბამის ოპერაციების დეპარტამენტთან გადაწყვეტის მცდელობის და აღნიშნული მცდელობის შედეგების შესახებ.“ AM პოლიტიკის 180-ე პარაგრაფი განმარტავს, რომ დასაშვებობის განსაზღვრისას „CRP განიხილავს და განსაზღვრავს მოხდა თუ არა მომჩივანთა მხრიდან კეთილი ნების გამოჩენა სადაო საკითხების პირველ რიგში შესაბამის ოპერაციების დეპარტამენტთან გადაჭრის კუთხით. აღნიშნული ძალისხმევის არ არსებობის შემთხვევაში, CRP საჩივარს გადაუგზავნის შესაბამის ოპერაციების დეპარტამენტს“.
6. მომჩივანმა პირებმა შესაბამის ოპერაციების დეპარტამენტს (CWRD) წერილობითი საჩივრით მიმართეს 2018 წლის 27 აგვისტოს, მას შემდეგ რაც საჩივარი უკვე მიღებულ იქნა CRO-ის მიერ. ADB-მ 2018 წლის 11 სექტემბერს მომჩივანებს აცნობა საჩივრის მიღების შესახებ და აღუთქვა, რომ ADB, MDF-თან ერთად განიხილავდა აღნიშნულ საჩივარს, შეისწავლიდა სადაო ქონების შეფასების დოკუმენტებს და რადგან აღნიშნულ მოკვლევას გარკვეული პერიოდი სჭირდებოდა, ADB უზრუნველყოფდა მათ ინფორმირებას გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით. აღნიშნული წერილების ასლები წარმოდგენილია **მეორე დანართში**.
7. 2018 წლის 11 სექტემბერს ADB-მ MDF-გან მოითხოვა საჩივართან დაკავშირებული ყველანაირი დოკუმენტაცია, მათ შორის ქონების შეფასებები და საჩივრების მიმღები კომისიის ოქმები, რომელიც ADB-მ მიიღო 2018 წლის 17 სექტემბერს. აღნიშნული დოკუმენტები მოცულობითია და ADB-მ მათი ინგლისური თარგმანი მიიღო 2018 წლის 12 ოქტომბერს. აღნიშნული დოკუმენტების შესწავლის შემდეგ, ADB-მ დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებელი იმის დასადგენად შეესაბამებოდა თუ არა შეთავაზებული კომპენსაციის ოდენობა LARP-ს და უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადებას (2009). 2018 წლის 11 სექტემბერს ADB-ის მიერ მომჩივანთათვის საგარანტიო წერილის გაგზავნისა და 2018 წლის 12 ოქტომბერს ADB-ის მიერ შეფასებებისა და MDF-ის საჩივრების კომიტეტის გადაწყვეტილებების მიღების შუალედში, ოპერაციების დეპარტამენტის ინფორმირების გარეშე, მომჩივანმა პირებმა CRO-ს გადაუგზავნეს შესაბამისობის ანალიზის მოთხოვნა. 2018 წლის 19 ოქტომბერს, ADB-მ თავისი 2018 წლის 11 სექტემბრის წერილის დამატებით გაუგზავნა წერილი მომჩივან პირებს და ამცნო შეფასებებთან დაკავშირებით მოკვლევის დაწყებისა და დამოუკიდებელი შემფასებლის დაქირავების შესახებ, რომელიც განახორციელებდა მათი ქონების ცალკე, დამოუკიდებელ შეფასებას (**დანართი 2**).
8. როგორც ზემოხსენებული მიმოწერა და დოკუმენტები ადასტურებს, ამჯერად საჩივარში დასმული საკითხების გადაჭრისათვის კეთილი ნების გამოხატვას ადგილი აქვს ოპერაციების დეპარტამენტის მხრიდან, და ამ ეტაპზე აღნიშნული ძალისხმევა არ

შეიძლება ამოწურულად ჩაითვალოს. წინასწარ კეთილი ნების გამოხატვა, რომელიც გათვალისწინებულია AM-ის პოლიტიკაში, სხვა დანარჩენთან ერთად ემსახურება შემდეგ მიზანს, რომ საშუალება მისცეს ოპერაციების დეპარტამენტს გადაწყვიტოს პრობლემები დაინტერესებულ პირებთან, მათ შორის მომჩივანებთან და პროექტის აღმასრულებელ სააგენტოებთან ერთად, მანამ სანამ მოხდება საჩივრის CRP-თვის მიწოდება. თუმცა, ADB-ის 2018 წლის 11 სექტემბრის საგარანტიო წერილის მიუხედავად და ოპერაციების დეპარტამენტის ინფორმირების გარეშე, მომჩივანმა პირებმა საჩივარი გადაუგზავნეს CRO-ს, რომელიც CRP-ის მიერ მიღებულ იქნა 2018 წლის 11 ოქტომბერს.

9. AM პოლიტიკის 170-ე და 180-ე პარაგრაფების შესაბამისად, საჩივრის დასაშვებობის განსაზღვრისას, CRP დაადგენს განხორციელდა თუ არა თავდაპირველად მომჩივანთა მხრიდან კეთილი ნების გამოვლენა შესაბამის ოპერაციების დეპარტამენტთან პრობლემების მოგვარების კუთხით და იმ შემთხვევაში თუ აღნიშნულს ადგილი არ ჰქონია, CRP განსაზღვრავს განეკუთვნება თუ არა საჩივარი AM-ის პოლიტიკის 142-ე (ii) პარაგრაფით გათვალისწინებულ გამონაკლისებს და ასეთ შემთხვევაში CRP მოახდენს საჩივრის შესაბამისი ოპერაციების დეპარტამენტისთვის გადაგზავნას.
10. AM პოლიტიკის 179-ე და 180-ე პარაგრაფების შესაბამისად საჩივრის დასაშვებობის განსაზღვრასთან ერთად, არსებობს გარკვეული კითხვები მომჩივანთა მხრიდან შესაბამისი ფუნქციის შერჩევასთან დაკავშირებით. მომჩივანთა დაინტერესების ერთადერთ საგანს წარმოადგენს კომპენსაცია და ქონების შეფასება. CRO-თვის გაგზავნილ წერილში, მომჩივანმა პირებმა განაცხადეს: „თხოვნით მივმართავთ თქვენს ორგანიზაციას ყურადღებით მოეკიდოს აღნიშნულ საკითხს, დანიშნოს შესაბამისი კომისია, რომელიც დეტალურად შეისწავლის ჩვენს სიტუაციას და ეცდება ორივე მხარისათვის მისაღები გამოსავლის მოძებნას, ან გამოგვიყოფს შესაბამის კომპენსაციას (საბაზრო ფასების შესაბამისად) რაც საშუალებას მოგვცემს ვიყიდოთ ახალი სახლები ან დაგვაკმაყოფილებს ალტერნატიული საცხოვრებელი ფართით, ჩვენს მიერ ამჟამად საკუთრებაში არსებული მიწის/საცხოვრებელი ფართის კვადრატულობის შესაბამისად.“ საჩივრის ფორმის „ვ“ ნაწილში მომჩივანმა პირებმა დააფიქსირეს, რომ მათთვის სასურველი შედეგი იქნება სამართლიანი კომპენსაციის მიღება, რომლითაც შეძლებენ ახალი ქონების შეძენას. ამ კუთხით, მესამე დანართში წარმოდგენილია ADB-ის შესაბამისობის დეტალები მის უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადებასთან (SPS), ხოლო ადგილის რუკა მოცემულია დანართში 4. SPS-თან ADB-ის შესაბამისობის მიუხედავად, ADB კეთილი ნების გამოვლენის კუთხით გამოყოფს დამატებით დახმარებას, საკითხის გადაწყვეტის მიზნით და დაიქირავეს დამოუკიდებელ შემფასებელს, რომელიც განახორციელებს უძრავი ქონების ცალკე, დამოუკიდებელ შეფასებას. აღნიშნული დახმარების შესახებ მომჩივან პირებს უკვე ეცნობათ ADB-ის 2018 წლის 19 ოქტომბრის წერილით. აღნიშნული წარმოდგენს სპეციალურ მიდგომას, რომელიც წინათ გამოყენებულ იქნა პროექტის სპეციალური ფასილიტატორის მიერ საქართველოში სხვა შემთხვევების დროს და შესაძლოა მისი ამ შემთხვევაშიც გამოყენება.

11. ADB-ის გუნდი განგრძობს მომზივან პირებთან დიალოგსა და ღია კონსულტაციებს. მენეჯმენტი მზადაა მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს CRP-ის დამატებითი განმარტებები და მასალები

დანართები:

1. CRP-ის წერილი მეოთხე საჩივართან დაკავშირებით, 2018 წლის 18 ოქტომბერი
2. მარნეულის ქუჩის ქეისის ისტორია
3. ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადებასთან შესაბამისობა.
4. მოცემული ადგილის რუკა

ასლები ეგზავნებათ:

ენტონი მაკდონალდს, აღმასრულებელი დირექტორი
 ჰონგ ვეის, გენერალური დირექტორის მოადგილე, CWRD
 ნესიმ ჯეი აჰმადს, გენერალური დირექტორის მოადგილე, SDCC
 ამასთანავე შესაბამისობის უფროსი ოფიცერი
 იონგ ეს, CWUW-ის დირექტორი
 ნიანშან ჟანგს, CWOD-PSG-ის მრჩეველი და უფროსი
 იეშიმ ელჰან-ქაიალარს, საქართველოში მუდმივი წარმომადგენლობის
 დირექტორი



წერილი

ვის: ვენჩაი ჟანგს

ვიცე-პრეზიდენტი (ოპერაციები 1)

ვისგან: დინგდინგ ტანგი

შესაბამისობის ანალიზის პანელის თავმჯდომარე და ამჟამად შესაბამისობის ანალიზის პანელის ოფისის უფროსი

საკითხი: GEO: MFF-მდგრადი ურბანული ტრანსპორტის საინვესტიციო პროგრამა, მესამე ტრანში (სესხი # 3063) - მენეჯმენტის პასუხის მოთხოვნა

1. 2018 წლის 11 ოქტომბერს საჩივრის მიმღებმა ოფიცერმა შესაბამისობის ანალიზის პანელს (CRP) გადაუგზავნა თანდართული შესაბამისობის ანალიზის მოთხოვნა ზემოხსენებულ პროექტთან დაკავშირებით.
2. ანგარიშვალდებულების მექანიზმის (AM) ოპერაციების სახელმძღვანელოს L1/OP ნაწილის 71-ე პუნქტის შესაბამისად, CRP-მა განახორციელა პირველადი შეფასება და დაადასტურა, რომ საჩივარი განეკუთვნება შესაბამისობის ანალიზის პანელის ფუნქციის მანდატს.
3. მენეჯმენტს 2018 წლის 19 ნოემბერს მიმართეს მენეჯმენტის პასუხის მოთხოვნით, რომელმაც უნდა (i) მოახდინოს შესაბამისი ინფორმაციის მიწოდება იმასთან დაკავშირებით მოქმედებდა თუ არა ADB მისი შესაბამისი პოლიტიკისა და პროცედურების შესაბამისად, ასევე ინფორმაცია ADB-ის მენეჯმენტისა და აღმასრულებელი სააგენტოების თავდაპირველი და მიმდინარე ძალისხმევის შესახებ მომჩივანი პირების საკითხების გადაწყვეტის კუთხით; ან (ii) აღიაროს, რომ არსებობდა გარკვეული ხარვეზები ADB-ის პოლიტიკასა და პროცედურებთან შესაბამისობის კუთხით და გაატაროს შესაბამისი ღონისძიებები რათა მაქსიმალურად უზრუნველყოს შესაბამისობა.
4. CRP-იმ, ფინანსთა სამინისტროს გავლით ცალკე მოახდინა საქართველოს მთავრობისა და საქართველოში ADB-ის წარმომადგენლობის აღმასრულებელი დირექტორის ინფორმირება საჩივართან დაკავშირებით.

დანართი: ზემოხსენებულის შესაბამისად

ასლები ეგზავნებათ:

ენტონი მაკდონალდს, აღმასრულებელი დირექტორი
ვერნერ ლიპახს, გენერალური დირექტორი, ცენტრალური და
დასავლეთ აზიის დეპარტამენტი, CWRD
ნიანშან ჟანგს, მრჩეველი და უფროსი, პორტფოლიოს, შედეგების,
უსაფრთხოებისა და გენდერის განყოფილება, CWRD

მარნეულის ქუჩის მცხოვრებლების საჩივრის ისტორია

ოთხი სადაო უძრავი ქონების ექსპროპრიაცია მოხდა 2016 წელს საქართველოს სასამართლოების საშუალებით, საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის (MDF) მიერ 2014/15 წლებში LARP-ის იმპლემენტაციის შესაბამისად. ექსპროპრიაციის პროცედურებს მოჰყვა AP-ების მხრიდან MDF-ის მიერ შეთავაზებულ კომპენსაციაზე უარის თქმა და პროექტის საჩივრების კომისიის მიერ შეთავაზებული თანხის დადასტურება. სასამართლო განჩინების თანახმად, საკომპენსაციო თანხა გადარიცხულ იქნა ესქრო ანგარიშზე, მაგრამ მათი გატანა არ მომხდარა მომჩივანი პირების მიერ. მიუხედავად იმისა, რომ MDF-მა სასამართლოს მიერ 2017 წელს მოიპოვა მაცხოვრებლების გამოსახლების უფლება, მას აღნიშნული უფლება ჯერ არ გამოუყენებია და აგრძელებს მომჩივან პირებთან მოლაპარაკებებს.

მომჩივანმა პირებმა ADB-ის ოპერაციების დეპარტამენტს პირველად მიმართეს წერილობითი საჩივრით, რომელიც შედგენილი იქნა ქართულ ენაზე (დანართი ა).

აღნიშნული საჩივრის წერილის ინგლისურად თარგმნის შემდეგ, ADB-მ წერილობითი პასუხი გაუგზავნა მომჩივან პირებს 2018 წლის 11 სექტემბერს (დანართი ბ), რომლითაც დაადასტურა მათი წერილის მიღება და აღუთქვა მათი ქეისის შესწავლა.

აღნიშნულ ქეისთან დაკავშირებით MDF-თვის ინფორმაციის მოთხოვნა მოხდა 2018 წლის 11 სექტემბერს, რომელიც მიღებულ იქნა 2018 წლის 17 სექტემბერს.

MDF-ის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია სათარგმნად გადაგზავნილ იქნა 2018 წლის 20 სექტემბერს და ინგლისურად ნათარგმნი ვერსია მიღებულ იქნა 2018 წლის 12 ოქტომბერს.

ქეისის შესწავლა მიუთითებს, რომ საჩივარი მხოლოდ და მხოლოდ დაკავშირებულია კომპენსაციის საკითხთან, რომლის შემდგომი გადაწყვეტაც საჭიროებს დამოუკიდებელ ექსპერტ-შემფასებლის მიერ სადაო საკუთრების შეფასებას. ADB-მ მოახდინა სპეციალისტის მიერ შეფასების სერვისის შესყიდვის ინიცირება. დამოუკიდებელი, ისევე როგორც საერთაშორისოდ აღიარებული სტანდარტების შესაბამისი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით, მიღებულ იქნა გადაწყვეტილება პირდაპირი შესყიდვის გზით Colliers International Georgia-ს დაქირავების შესახებ. როგორც მოსალოდნელია დაქირავების პროცედურები დასრულდება ნოემბრის ბოლოსათვის, ხოლო ხელახალი შეფასება დასრულდება 2018 წლის დეკემბერში. MDF-ს შემდგომი რეკომენდაციები მიეცემა ADB-ის პოლიტიკის მოთხოვნების შესაბამისად, შეფასების შედეგებზე დაყრდნობით.

19 ოქტომბერს ADB-მ დამატებით წერილი გაუგზავნა მომჩივან პირებს, რომლითაც აცნობა მათი უძრავი ქონების დამოუკიდებელი შეფასების შესახებ (დანართი გ).

2018 წლის 9 ნოემბერს, ADB-ის მუდმივი წარმომადგენლობის ოფისს ეწვია მომჩივანთა წარმომადგენელი, რომელმაც შემფოთება გამოხატა საჩივრის დამუშავების დროის ხანგრძლივობასთან დაკავშირებით და ასევე შეეხო AP-ების ძალისმიერ გამოსახლებას. მომჩივანთა წარმომადგენელი დაარწმუნეს, რომ დამოუკიდებელი ექსპერტ-შემფასებლის

დაქირავების საკითხი მიმდინარეობის პროცესშია და შესაძლოა რამდენიმე კვირით გაიწელოს. მას ასევე ეცნობა, რომ MDF-ის მიერ ADB-თვის მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, არანაირი ძალისმიერი გამოსახლება არ განხორციელდება და რომ ADB უზრუნველყოფს მის მიერ დაფინანსებულ პროექტებთან მიმართებაში ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის დებულებების სრულად დაცვას.

ქვემოთ წარმოდგენილია მოვლენების ქრონოლოგია, როგორც ეს მოგვაწოდა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა (დანართები გულისხმობს ADB-თვის ქართულ ენაზე გადაგზავნილ დოკუმენტებს - აღნიშნული დოკუმენტები თანდართული არ არის, თუმცა მოთხოვნის შემთხვევაში შესაძლებელია მათი მოწოდება)

1. 2014 წელს მოხდა თბილისი-რუსთავის გზის მშენებლობის პროექტისთვის მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის (LARP) დამტკიცება. პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული უძრავი ქონება (შენობა-ნაგებობები, მიწის ნაკვეთები, მრავალწლიანი ნარგავები და აშ) შეფასებულ იქნა დამოუკიდებელი, ლიცენზირებული სააუდიტო კომპანია „შპს ათოსის“ მიერ. (გთხოვთ, იხილეთ დანართი 1: პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული უძრავი ქონების შეფასება)
2. მარნეული ქუჩაზე მცხოვრებ ბენეფიციარებთან უძრავი ქონების გამოსყიდვასთან დაკავშირებით სიტყვიერი მოლაპარაკებები მიმდინარეობს 2014 წლის დეკემბრიდან.
3. 2015 წლის 29 მარტს, 8 და 15 ოქტომბერს და 2016 წლის 10 ივნისს მარნეულის ქუჩის ბენეფიციარებს კიდევ ერთხელ ეცნობათ პროექტის ზემოქმედების ქვეშ მოქცეული უძრავი ქონების გამოსყიდვასთან დაკავშირებით. ამჯერად შეტყობინებების მიწოდება მოხდა წერილობით (იხილეთ დანართი 2: ოფიციალური შეტყობინებები).
4. 2015 წლის 28 დეკემბერს, მარნეულის ქუჩის მცხოვრებლებმა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს წარუდგინეს განცხადება საკომპენსაციო თანხის გაზრდის მოთხოვნით. MDF-ის საჩივრების განხილვის კომისიამ არ დააკმაყოფილა აღნიშნული მოთხოვნა (იხილეთ დანართი 3: 2016 წლის 22 იანვრის #11 ოქმი).
5. 2015-2016 წლებში MDF-მა დაიწყო ქონების განკარგვის შესახებ კანონით გათვალისწინებული პროცედურები. აღნიშნული პროცედურები დაიწყო ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადებისა (SPS) და ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, LARP-ის საფუძველზე. პროცედურების დაწყება გამოწვეულ იქნა იმ ფაქტით, რომ ვერ მოხდა MDF-სა და მომჩივან პირებს შორის შეთანხმების მიღწევა ნებაყოფლობით გამოსყიდვასთან დაკავშირებით.
6. აღნიშნულ საქმესთან დაკავშირებული დოკუმენტების წარდგენა მოხდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ექსპროპრიაციის უფლების გამცემი კომისიისათვის, რომელიც შედგება სხვადასხვა სამინისტროებისა და გაერთიანებების წარმომადგენლებისგან. კომისიამ განიხილა მარნეულის ქუჩის ბენეფიციარების საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ექსპროპრიაციის საკითხის და მიზანშეწონილად მიიჩნია საზოგადოებრივი საჭიროების მიზნებიდან გამომდინარე, უძრავი ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამორთმევის საკითხი განხილვა მომხდარიყო სასამართლოში (დანართი 4: 2015 წლის 31 დეკემბრის # 1-1/557 გადაწყვეტილება და 2016 წლის 22 ივლისის # 1-1/384 გადაწყვეტილება)

7. 2016 წლის 11 მაისს, თბილისის სასამართლომ (საქმე (#3/1951-6) #3303152160001278150) გადაწყვიტა ნოდარ აგიტიანის, ნანა ყვავილაშვილის, ციციანთელა ყვავილაშვილის, ემილ მანუკიანის და ლერი მანუკიანის უძრავი ქონების ექსპროპრიაციის საკითხი, ხოლო 2017 წლის 24 თებერვალს (საქმე # 3/1951-16 #330315216001534243) დავით ცინცაძის, ქეთევან ცინცაძის და ინგა მაისურაძის უძრავი ქონების ექსპროპრიაციის საკითხი. სასამართლოს განჩინების თანახმად, ექსპროპრიაციის საქმე დაექვემდებარე დაუყოვნებლივ აღსრულებას (იხილეთ დანართი #5: თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება ექსპროპრიაციასთან დაკავშირებით).
8. ექსპროპრიაციას დაქვემდებარებული ყველა უძრავი ქონება 2017 წელს დარეგისტრირებულ იქნა სახელმწიფოს სახელზე (იხილეთ დანართი: 6.1, 6.2, 6.3, 6.4 - ამონაწერები საჯარო რეესტრიდან). იმავე წელს, ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადებისა (SPS) და ქართული კანონმდებლობის შესაბამისად, LARP-ის საფუძველზე მოხდა ბენეფიციარებისთვის გამოყოფილი თანხისა და დამატებითი კომპენსაციის გადარიცხვა სპეციალურ ანგარიშზე. 2017 წლის 9 იანვრის და 2018 წლის 16 ივნისის წერილებით, MDF-მა წერილებით აცნობა ბენეფიციარებს საკომპენსაციო თანხების სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების შესახებ (იხილეთ დანართი 7: შეტყობინება თანხების სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსების შესახებ).
9. ბენეფიციარებმა, რომლებიც დაექვემდებარნენ ექსპროპრიაციას არ მოახდინეს სახელმწიფოს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების დაცლა. კანონით გათვალისწინებული რეგულაციების თანახმად, MDF-მა დაიწყო ახალი სასამართლო პროცესი, საცხოვრებელი სახლების დაცლის უფლების მოპოვების მიზნით. 2017 წლის ბოლოს, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება მარნეულის ქუჩაზე მდებარე ექსპროპრიირებული უძრავი ქონების დაცლის შესახებ. (იხილეთ დანართი 8: სასამართლოს მიერ გაცემული სააღსრულებლო დოკუმენტები). ამ ეტაპზე, აღნიშნული საქმე გადაცემულია აღსრულების ეროვნული ბიუროსათვის.

მენეჯმენტის პასუხის დანართი ა
რედაქტირებულია CRP-ის მიერ მომზადებული იდენტობის დაცვის მიზნით

დანართი ბ



2018 წლის 11 სექტემბერი
მარნეულის ქუჩის მაცხოვრებლებს
რუსთავის გზატკეცილი
თბილისი, საქართველო

ძვირფასო მაცხოვრებლებო,

დიდი მადლობა თქვენი წერილისთვის, რომელიც საქართველოში ADB-ის მუდმივი წარმომადგენლობის მიერ მიღებულ იქნა 2018 წლის 27 აგვისტოს. გვესმის, რომ თქვენ არ ხართ კმაყოფილი თქვენი საკუთრების სანაცვლოდ შემოთავაზებული კომპენსაციით, რომელიც უნდა იქნას შესყიდული თბილისი-რუსთავის ურბანული გზის პროექტის მიზნებისათვის.

თქვენ ADB-ის მომართეთ თხოვნით გამოიძიოს თქვენს საკუთრებაში არსებული ქონების შეფასების საკითხი, პირველ რიგში ADB-მ აღნიშნული საკითხი განიხილა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან (MDF) და შეისწავლა თქვენი ქონების შეფასებები. გამოძიებას დასჭირდება გარკვეული დრო და ჩვენ წინასწარ მადლობას გიხდით მოთმინებისთვის. გამოძიების მიმდინარეობასთან დაკავშირებით თქვენი ინფორმირების მიზნით რეგულარულად დაგიკავშირდებით ADB-ის უფლებამოსილი წარმომადგენელი. პირველ რიგში გთხოვთ გამოყოთ თქვენი მხრიდან ერთი წარმომადგენელი და მისი სახელი, საკონტაქტო ტელეფონი და ელ.ფოსტა მიაწოდოთ ბატონ მაიკლ ბოშამპს (mbeauchamp@abd.org). მაიკლ ბოშამპი გამოყოფს ერთ წარმომადგენელს, რომელიც იქნება თქვენი სატელეფონო კონტაქტი.

გარწმუნებთ, რომ ADB ყველა პროექტთან მიმართებაში უზრუნველყოფს ADB-ის უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადებასთან სრულ შესაბამისობას.

პატივისცემით,

იონგ ე
დირექტორი
ურბანული განვითარებისა და წლის განყოფილება
ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი

ასლი ეგზავნება:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორს
საქართველოში მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორს
მარნეულის ქუჩის მაცხოვრებლებს: ციციანთელა ყვავილაშვილი, ლერი მანუკიანი,
სუსანა ხაჩატუროვი, ინგა მანუკიანი, ირმა ხაჩატუროვი, ნოდარ ავლიანი, ჟანა
ხაჩატუროვი, დავით ცინცაძე, ვლადიმერ ხაჩატუროვი, ნანა ყვავილაშვილი, დავით
ხაჩატუროვი, ინგა ხაჩატუროვი, სვეტა კარამიანი, ანი ლელია, ცინცაძე დავით,
ხაჩატუროვი ვალოდი

დანართი გ



2018 წლის 19 ოქტომბერი
მარნეულის ქუჩის მაცხოვრებლებს
რუსთავის გზატკეცილი
თბილისი, საქართველო

ძვირფასო მაცხოვრებლებო,

ADB-ის მიერ 2018 წლის 27 აგვისტოს მიღებული თქვენი წერილის და ჩვენი 2018 წლის 11 სექტემბრის საპასუხო წერილის დამატებით, გვსურს გაცნობოთ, რომ ADB-მ დაიწყო გამოძიება თქვენი ქონების შეფასებასთან დაკავშირებით. აღნიშნული საკითხი განხილულ იქნა საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდთან (MDF) და ADB-მ დაიწყო იმ შეფასებების შესწავლა რომელიც განხორციელდა თქვენს საკუთრებაში არსებულ ქონებასთან მიმართებაში.

ამჟამად ADB ახორციელებს დამოუკიდებელი ექსპერტ-შემფასებლის დაქირავებას, რომლის განახორციელებს თქვენს საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ცალკე, დამოუკიდებელ შეფასებას. პროცესი უკვე დაწყებულია და დაქირავების პროცესის დასრულებისთანავე გეცნობებათ აღნიშნულის შესახებ. ჩვენი გათვლებით ზემოხსენებულ პროცესს დაჭირდება დაახლოებით 3 კვირა. ამ დროისათვის დაგჭირდება თქვენი მხრიდან თანამშრომლობა ხელახალი შეფასების განხორციელების კუთხით.

მადლობას მოგახსენებთ მოთმინებისათვის.

პატივისცემით,

იონგ ე
დირექტორი
ურბანული განვითარებისა და წლის განყოფილება
ცენტრალური და დასავლეთ აზიის დეპარტამენტი

ასლი ეგზავნება:

საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელ დირექტორს
საქართველოში მუდმივი წარმომადგენლობის დირექტორს
მარნეულის ქუჩის მაცხოვრებლებს: ციციანთელა ყვავილაშვილი, ლერი მანუკიანი,
სუსანა ხაჩატუროვი, ინგა მანუკიანი, ირმა ხაჩატუროვი, ნოდარ ავლიანი, ჟანა
ხაჩატუროვი, დავით ცინცაძე, ვლადიმერ ხაჩატუროვი, ნანა ყვავილაშვილი, დავით
ხაჩატუროვი, ინგა ხაჩატუროვი, სვეტა კარამიანი, ანი ლელია, ცინცაძე დავით,
ხაჩატუროვი ვალოდი

აზიის განვითარების ბანკის უსაფრთხოების პოლიტიკის განცხადებასთან (SPS) შესაბამისობა და საოპერაციო სახელმძღვანელო ნაწილი F1

ა. კატეგორიზაცია

<p>IR</p> <p>-IR კატეგორია: A</p> <p>- მიწის შესყიდვისა და განსახლების გეგმის (LARP) პროექტის გასაჯაროება 2013 წლის 25 აგვისტოს MDF-ის ვებ-გვერდზე და 2013 წლის 10 სექტემბერს ADB-ის ვებ-გვერდზე.</p> <p>- საბოლოო LARPa (იმპლემენტაციისათვის მზა) გასაჯაროება 2014 წლის 30 ოქტომბერს MDF-ისა და ADB-ის ვებ-გვერდებზე.</p> <p>- საბოლოო LARPb (იმპლემენტაციისათვის მზა) გასაჯაროება 2015 წლის 6 ოქტომბერს MDF-ის ვებ-გვერდზე და 2015 წლის 8 ოქტომბერს ADB-ის ვებ-გვერდზე.</p> <p>(შენიშვნა: 2014 წლის ივლისში გადაწყვეტილება LARP-ის LARPa და LARPb ნაწილებად დაყოფის შესახებ მიღებულ იქნა LARPb-ის მოსამზადებლად უფრო მეტი დროის გამოყოფის მიზნით (მათ შორის ფონიჭალის მონაკვეთზე, საცხოვრებელი კორპუსების მიმდებარედ).</p>
--

ბ. აზიის განვითარების ბანკის სოციალური უსაფრთხოების მოთხოვნებთან და OM F1-თან შესაბამისობა

SPS-ის მოთხოვნები (LARP)	კომენტარი
<p>1. პროექტის ადრეულ ეტაპზე სკრინინგის ჩატარება ყოფილი, ახლანდელი და მომავალი არა ნებაყოფლობითი განსახლების ზემოქმედებისა და რისკების იდენტიფიცირებისათვის. განსახლების დაგეგმვის მასშტაბების განსაზღვრა კვლევის და/ან იძულებით გადაადგილებული პირების გამოკითხვის გზით, მათ შორის გენდერული ანალიზი, რომელიც კონკრეტულად დაკავშირებულია განსახლების ზემოქმედებასა და რისკებთან.</p>	<p>განხორციელდა პროექტისა და LARP-ის მომზადების ეტაპზე, OM F1/OP ნაწილის შესაბამისად.</p>
<p>2. დაზარალებულ პირებთან, თემთან და დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან მნიშვნელოვანი კონსულტაციების ჩატარება. ყველა იძულებით გადასადგილებელი პირებისათვის ინფორმაციის მიწოდება მათი უფლებებისა და განსახლების გეგმებთან დაკავშირებით. მათი ჩართულობის უზრუნველყოფა შემუშავების, იმპლემენტაციისა და მონიტორინგის პროცესში და განსახლების პროგრამების მონიტორინგში. განსაკუთრებული ყურადღების დათმობა მოწყვლადი ჯგუფებისათვის, განსაკუთრებით სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი</p>	<p>იხილეთ კონსულტაციების გრაფიკი (ქვემოთ). სოციალურად დაუცველი მოსახლეობის იდენტიფიცირება მოხდა სოციალურ-ეკონომიკური გამოკვლევით და LARP-ში მითითებული ღონისძიებებით.</p> <p>აღსანიშნავია, რომ 2 მომჩივანი ოჯახი გამოვლენილ იქნა როგორც მოწყვლადი (ნოდარ აგიტაიანი არის შშმ და დავით ცინცაძე ღარიბი)</p> <p>MDF-ის მიერ ამოქმედებულ იქნა საჩივრის მიღების მექანიზმი, OM-ის სექცია F1 / OP შესაბამისად.</p>

<p>ჯგუფებისათვის, უსახლკაროებისთვის, ხანდაზმულებისათვის, ქალებისა და ბავშვებისათვის და ადგილობრივი მოსახლეობისათვის და მათთვის ვისაც არ გააჩნიათ სამართლებრივი უფლებები ქონებაზე. საჩივრის მიღების მექანიზმის ამოქმედება და დაზარალებული პირების საჩივრების მიღებისა და გადაწყვეტის უზრუნველყოფა. იძულებით გადაადგილებულ პირთა და მათი მასპინძელი ოჯახების სოციალური და კულტურული ინსტიტუტების მხარდაჭერა. იმ შემთხვევებში როცა იძულებით განსახლების რისკები მნიშვნელოვნად კომპლექსური და სენსიტიურია, კომპენსაციისა და განსახლების შესახებ გადაწყვეტილება უნდა იქნას მიღებული სოციალური მზაობის ფაზის მეშვეობით.</p>	<p>ივლისი 2013 - ხუთი შეხვედრა ადგილობრივ მაცხოვრებლებთან (8, 9, 10, 12 და 13 ივლისი 2013); ერთი შეხვედრა ბიზნესის მფლობელებთან და ოპერატორებთან (2013 წლის 18 ივლისი). 17 აგვისტო 2013 - დაზარალებულებთან შეხვედრა.</p> <p>საჯარო კონსულტაციები დეტალურად მოცემული და დოკუმენტირებულია LARP-ში.</p>
<p>3. ყველა გადაადგილებული პირის საცხოვრებელი გარემოს გაუმჯობესება ან სულ მცირე აღდგენა (1) მიწაზე დაფუძნებული განსახლების სტრატეგიების მეშვეობით, რომლის შემთხვევაში, შესაძლო ან ფულადი კომპენსაცია ხდება მიწის ღირებულების სანაცვლოდ და როდესაც მიწის დაკარგვა არ უქმნის საფრთხეს საარსებო საშუალებებს (2) აქტივების სწრაფი ჩანაცვლება იმავე ან უფრო მაღალი ღირებულების აქტივებით; (3) აქტივების სწრაფი ჩანაცვლება, იმ აქტივების სრული ღირებულებით, რომელთა აღდგენაც შეუძლებელია და (4) დამატებითი შემოსავლები და მომსახურებები, სარგებლის გაზიარების სქემების მეშვეობით, შესაძლებლობის მიხედვით</p>	<p>მიწის შესყიდვისა და განსახლების ჩარჩო (LARF) და LARP მომზადებულია SPS-ის შესაბამისად და დამტკიცებულია გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების დეპარტამენტის მიერ (SDES). LARP განხორციელების პროცესშია.</p> <p>მარნეულის ქუჩის 4 AP-ის გარდა, მხოლოდ 1 სხვა AP-ს აქვს კომპენსაციის შეთანხმება - ფარმაცევტული კომპანია, GMP Pharmaceuticals, რომელიც მარგინალურად არის ზემოქმედების ქვეშ და კარგავს მხოლოდ მიწის მცირე ნაწილს, და პროექტის წინააღმდეგი იყო ტექნიკური მიზეზების გამო.</p> <p>ზემოხსენებულის გარდა, კომპენსაციის გადახდა მოხდა მიწის და შენობა-ნაგებობების საბაზრო ღირებულის შესაბამისად. საარსებო წყაროს მოსპობასთან დაკავშირებით კომპენსაციის გადახდა მოხდა შეთანხმებული და დამტკიცებული ჩარჩოს მიხედვით. ყველა კომპენსაციის შემოწმება მოხდა გარე მონიტორის მიერ.</p>
<p>4. ფიზიკურად ან ეკონომიკურად განსახლებული პირებისათვის საჭირო დახმარების გაწევა, მათ შორის (1) იმ შემთხვევაში, თუ ადგილი აქვს</p>	<p>LARF და LARP მომზადებულია SPS-ის შესაბამისად და დამტკიცებულია SDES-ის მიერ. LARP განხორციელების პროცესშია.</p>

<p>განსახლებას, უზრუნველყოფილია საცხოვრებელი ადგილის გადანაწილება დასაქმებისა და წარმოების შესაძლებლობების შედარებით ხელმისაწვდომ ადგილებში, უკეთესი საცხოვრებელი პირობებით, განსახლებული პირების ეკონომიკური და სოციალური ინტეგრირება მათ მასპინძელ თემებში; (2) გარდამავალ პერიოდში მხარდაჭერა და განვითარებაში მხარდაჭერა, როგორცაა მიწის განვითარება, საკრედიტო საშუალებები, ტრენინგი ან დასაქმების შესაძლებლობები; და (3) სამოქალაქო ინფრასტრუქტურა და სათემო მომსახურება.</p>	<p>კომპენსაცია საკმარისია იგივე ან უკეთესი საცხოვრებლის შესასყიდად. გათვალისწინებულია საცხოვრებლის შეცვლის/გადაადგილების ხარჯები. ფიზიკურად შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებისთვის გათვალისწინებულია დახმარება საცხოვრებლის შეცვლასთან დაკავშირებით. კომპენსაციის და დახმარების შემოწმება ხდება გარე მონიტორის მიერ.</p>
<p>5. განსახლებული ღარიბებისა და სხვა მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის ქალების ცხოვრების სტანდარტების გაუმჯობესება, სულ მცირე მინიმალურ ეროვნულ სტანდარტებამდე. სოფლად, მათი უზრუნველყოფა მიწასა და რესურსებზე ხელმისაწვდომობით, ხოლო ურბანულ რაიონებში სათანადო შემოსავლის წყაროებსა და ადეკვატურ საცხოვრებელ პირობებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა.</p>	<p>LARF და LARP მომზადებულია SPS-ის შესაბამისად და დამტკიცებულია SDES-ის მიერ. LARP განხორციელების პროცესშია. განსახლების-წინ ზემოქმედების ქვეშ მოქცეული პირების აღწერისას მოხდა სოციალური-ეკონომიკური კვლევის ჩატარება მათი საბაზისო საცხოვრებელი სტანდარტების დასადგენად. LARP ხორციელდება და მოწმდება გარე მონიტორის მიერ, რომელმაც ასევე დაადასტურა განსახლების შემდგომი საცხოვრებელი სტანდარტები.</p>
<p>6. პროცედურების შემუშავება გამჭვირვალე, თანმიმდევრული და თანაბარი გზით, თუ შესაძლებელია მიწის შეძენა მოლაპარაკების გზით, უზრუნველყოფილ უნდა იქნას მოლაპარაკებებში ჩართული პირების იგივე ან უკეთესი შემოსავლებით და საარსებო საშუალებებით უზრუნველყოფა.</p>	<p>EA ახორციელებს გარიგებებთან დაკავშირებულ მოლაპარაკებებს, გამჭვირვალე, თანმიმდევრული და თანასწორი გზით. LARP-ების (პროექტი და საბოლოო), მათ შორის საკომპენსაციო თანხებისა და უფლება-მოვალეობების გასაჯაროება მოხდა MDF-ის და ADB-ის საიტებზე.</p>
<p>7. იმ პირების უზრუნველყოფა განსახლებაში დახმარებითა და სხვა (არა მიწა) აქტივების კომპენსაციით, რომელთაც არ გააჩნიათ იურიდიული და კანონიერი უფლება მათ საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე.</p>	<p>LARP მოიცავს პირებს მიწაზე საკუთრების უფლების ან რაიმე აღიარებადი იურიდიული უფლებების გარეშე და ითვალისწინებს მათ განსახლებასა და მათთვის კომპენსაციის უფლების მინიჭებას.</p>
<p>8. განსახლებულ პირთა უფლებების, შემოსავლებისა და საარსებო წყაროს აღდგენის სტრატეგიის</p>	<p>LARP მომზადებულია და დამტკიცებულია SDES-ის მიერ. LARP მოიცავს დეტალებს საკომპენსაციო ვალდებულებების,</p>

<p>გათვალისწინებით განსახლების გეგმის, ინსტიტუციური ღონისძიებების, მონიტორინგისა და ანგარიშგების ჩარჩოების, ბიუჯეტის და დროში გაწეული განხორციელების გეგმის შემუშავება.</p>	<p>საკომპენსაციო თანხების კვალიფიციური ექსპერტების მიერ დაანგარიშების შესახებ ინფორმაციას, ინსტიტუციურ გარიგებებს, მონიტორინგისა და ანგარიშგების ჩარჩოს, ბიუჯეტს და იმპლემენტაციის გეგმას.</p>
<p>9. განსახლების გეგმის დროულად მომზადება, საკონსულტაციო პროცესის დოკუმენტაციასთან ერთად, და პროექტის შეფასებამდე, დაინტერესებული მხარეებისათვის მისი მიწოდება ხელმისაწვდომ ადგილას, მისაღები ფორმით და გასაგებ ენაზე (ენებზე). საბოლოო განსახლების გეგმა და მისი განახლებული ვერსიები უნდა იქნას მიწოდებული დაზარალებულებისა და სხვა დაინტერესებულ პირებისათვის</p>	<p>LARP-ის პროექტის დაზარალებული პირებისათვის გასაჯაროება მოხდა 2013 წლის 25 აგვისტოს MDF-ის მიერ ხოლო 2013 წლის 10 სექტემბერს ADB-ის მიერ. საბოლოო LARP გასაჯაროება მოხდა 2014 წლის 30 ოქტომბერს MDF-ისა და ADB-ის ვებ-გვერდებზე.</p>
<p>10. არანებაყოფლობითი განსახლების როგორც პროექტისა და პროგრამების შემუშავების ნაწილის დაწყება და აღსრულება. განსახლების ხარჯები სრულად უნდა იქნას ასახული პროექტის ან პროგრამის ხარჯებში.</p>	<p>განსახლება დაიწყო და ხორციელდება როგორც პროექტის განვითარების ნაწილი, და განსახლების ხარჯები სრულადაა გათვალისწინებული პროექტის ხარჯებისა და სარგებლის ანალიზში.</p>
<p>11. კომპენსაციის გადახდა და განსახლების სხვა უფლებების მინიჭება ფიზიკური ან ეკონომიკური განსახლების განხორციელებამდე. პროექტის განსახლების გეგმის განხორციელება ზედამხედველობის ქვეშ.</p>	<p>ფიზიკური ან ეკონომიკური გადაადგილება არ მომხდარა კომპენსაციის გადახდამდე, ხოლო ზედამხედველობა გათვალისწინებულია ADB-სა და გარე მონიტორის მიერ.</p>
<p>12. განსახლების შედეგების, ასევე განსახლებულთა ცხოვრების სტანდარტებზე ზემოქმედების მონიტორინგი და შეფასება, და მოხდა თუ არა განსახლების გეგმის მიზნების შესრულება, საბაზისო პირობებისა და განსახლების მონიტორინგის შედეგების გათვალისწინებით. მონიტორინგის ანგარიშების გასაჯაროება.</p>	<p>გარე მონიტორინგი მობილიზებულია - სოციალური მონიტორინგის ნახევარი წლის ანგარიშების გასაჯაროება მოხდა 2016 და 2017 წელს.</p>

Location Map

Figure 3. Section 2 Part A and Part B

